

საერთაშორისო ვაჭრობის თანამედროვე მიდგომები

თეა ბიძინაშვილი

სტუ-ს ასოცირებული პროფესორი,

ნანა ხითარიშვილი

ბიზნეს ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი

აბსტრაქტი

მოცემულ სტატიაში განხილულია საერთაშორისო ვაჭრობის თეორიის ევოლუცია კლასიკური სკოლიდან თანამედროვე ალტერნატიულ მიდგომებამდე. სტატიაში ყურადღებას ვამახვილებთ იმ ტრანსფორმაციებზე, რომლებიც შეეხო საერთაშორისო ვაჭრობის არსსა და ფუნქციონირებას გლობალიზაციის გაღრმავების ფონზე. სტატიაში ასახულია დისკუსია იმის თაობაზე, თუ რამდენად უნარჩუნდება ეფექტიანობა ეროვნულ მონეტარულ პოლიტიკას და რამდენად რეალურია მისი ეტაპობრივი ჩანაცვლება ზეეროვნული ინსტიტუტებით — რაც თავის მხრივ მოითხოვს ეკონომიკური სუვერენიტეტის გადანაწილებას გლობალურ დონეზე.

განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებულია ჰეკშერ-ოჰლინის კლასიკურ ნეოკლასიკურ თეორიაზე და მის შემდგომ განვითარებაზე პოლ სამუელსონის მიერ. წარმოდგენილია ჰეკშერ-ოჰლინ-სამუელსონის თეორემა, რომელიც ცდილობს დაამტკიცოს წარმოების ფაქტორებზე ფასების გამათანაბრებელი ეფექტი თავისუფალი ვაჭრობის პირობებში. თუმცა, ვასილი ლეონტიევის ცნობილი ემპირიული კვლევა („ლეონტიევის პარადოქსი“) ამ თეორიის წინააღმდეგ მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რაც აჩენს კითხვებს მისი უნივერსალურობისა და პრაქტიკულობაში გამოყენებადობის შესახებ.

სტატია ასევე განიხილავს საერთაშორისო ვაჭრობის თეორიების სამ ძირითად განზომილებას: კლასიკური მოდელების განვრცობა, ახალი ეკონომიკური რეალობის კლასიკური მიდგომებით ანალიზის მცდელობები და სრულად ალტერნატიული თეორიების განვითარება, როგორიცაა მასშტაბის მზარდი ეფექტის თეორია, ახალი ვაჭრობის თეორია და კონკურენტუნარიანობის დინამიკური მოდელები. კრუგმანისა და კემპბელის კონცეფციების საფუძველზე შესწავლილია ისეთი ეკონომიკური მექანიზმები, სადაც ვაჭრობის მიზეზად და სარგებლის წყაროდ ფასების განსხვავება კი არა, არამედ მასშტაბზე მიღწეული ეკონომია გვევლინება.

ამასთან, განხილულია რაიმონდ ვერნონის საქონლის სიცოცხლის ციკლის თეორია და მაიკლ პორტერის კონკურენტული უპირატესობის დარგობრივი მოდელი, რომელიც იმ ფორმების ანალიზზეა დაფუძნებული, რომელთაც საერთაშორისო ბაზრებზე წამყვანი პოზიციების მოპოვება შეუძლიათ არა ბუნებრივი უპირატესობის, არამედ შექმნილი

კომპეტენციებისა და ინოვაციური პოტენციალის მეშვეობით.

სტატია ნათლად აჩვენებს, რომ თანამედროვე საერთაშორისო ვაჭრობას კლასიკური თეორიების ჩარჩოები ვეღარ აკმაყოფილებს და საჭიროა უფრო კომპლექსური მიდგომების დანერგვა, სადაც გათვალისწინებული იქნება არა მხოლოდ წარმოების ფაქტორთა განაწილება, არამედ ტექნოლოგიური პროგრესი, ინოვაცია, მასშტაბის ეკონომია და ეკონომიკური პოლიტიკის გლობალური კოორდინაციის გამოწვევები. გლობალური ბაზრების სიმრავლის, კონკურენციის დინამიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის ინტეგრაციის გათვალისწინებით, საერთაშორისო ვაჭრობის თეორიის მუდმივი განვითარება და რეფლექსია გახლავთ აუცილებელი პირობა ეკონომიკური პროცესების ეფექტიანი მართვისა და პროგნოზირებისათვის.

საკვანძო სიტყვები: საერთაშორისო ვაჭრობა, კლასიკური თეორია, ჰეკშერ-ოჰლინის თეორია, სამუელსონი, ლეონტიევის პარადოქსი, ახალი ვაჭრობის თეორია, გლობალური ბაზრები, კონკურენტუნარიანობის დინამიკური მოდელები.

MODERN APPROACHES TO INTERNATIONAL TRADE

Tea Bidzinašvili

Associate Professor at GTU,

Nana Khitarishvili

PhD in Business Administration

ABSTRACT

The article discusses the evolution of international trade theory, from classical schools to modern alternative approaches. The focus is on the transformations that have affected the nature and functioning of international trade against the backdrop of deepening globalization. The article reflects a discussion about the effectiveness of national monetary policies and the extent to which their gradual replacement by supranational institutions is realistic—this, in turn, requires the redistribution of economic sovereignty at the global level.

A particular emphasis is placed on the classical neoclassical theory of Heckscher-Ohlin and its further development by Paul Samuelson. The Heckscher-Oh-

lin-Samuelson theorem is presented, which attempts to prove the price equalization effect of production factors under conditions of free trade. However, Vasily Leontief's famous empirical study ("Leontief Paradox") poses a significant challenge to this theory, raising questions about its universality and practical applicability.

The article also examines three main dimensions of international trade theories: the expansion of classical models, attempts to analyze the new economic reality using classical approaches, and the development of fully alternative theories such as economies of scale theory, new trade theory, and dynamic models of competitiveness. Based on the concepts of Krugman and Campbell, economic mechanisms are studied where the source of trade and its benefits is not price differences but economies of scale.

Additionally, the article discusses Raymond Vernon's product life cycle theory and Michael Porter's competitive advantage sector model, which is based on the analysis of firms that can achieve leading positions in international markets not through natural advantages but through acquired competencies and innovative potential.

The article clearly shows that modern international trade can no longer be explained within the framework of classical theories, and the implementation of more complex approaches is required. These approaches must consider not only the distribution of production factors but also technological progress, innovation, economies of scale, and the challenges of global economic policy coordination. Given the diversity of global markets, the dynamics of competition, and the integration of economic policies, the continuous development and reflection of international trade theory are essential for effective management and forecasting of economic processes.

Key Words: International Trade, Classical Theory, Heckscher-Ohlin Theory, Samuelson, Leontief Paradox, New Trade Theory, Global Markets, Dynamic Models of Competitiveness.

შესავალი

თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში მიმდინარეობს მსჯელობა მსოფლიო ეკონომიკის სამომავლო მართვის მეთოდების სრულყოფის შესახებ. მართალია ეკონომისტების უმრავლესობას მიაჩნიათ, რომ მრავალმხივი მათთვის მნიშვნელობა, საერთაშორისო ინსტიტუტების მონაწილეობით იზრდება, მაგრამ ჯერჯერობით მაინც სადისკუსიო თემად რჩება კითხვა: შეინარჩუნებს თუ არა თავის ეფექტიანობას მონეტარული პოლიტიკა და ხომ არ დაუთმობს ადგილს ზეეროვნულ ინსტიტუტებს, ეროვნული ეკონომიკური სუვერენიტეტის

მნიშვნელოვანი შემცირების ხარჯზე? მაგრამ, მონეტარული რეგულირების ფორმის ეფექტიანობის შემცირებისა და ზეეროვნული საერთაშორისო მართვის მექანიზმებით მსოფლიო და ზეეროვნული საერთაშორისო მართვის მექანიზმებით მსოფლიო მეურნეობის განვითარების დამადასტურებელი პრაქტიკული დასაბუთება, მეცნიერებას ჯერ არ წარმოუდგენია.

XX საუკუნის დასაწყისში შევდმა ეკონომისტებმა ე. ჰეკშერმა და ბ. ოლინმა დაამუშავეს საერთაშორისო ვაჭრობის ახალი, არსებითად ნეოკლასიკური მოდელი, რომლითაც განავითარეს დ. რიკარდოს თეორია. შეფარდებითი უპირატესობის განსაზღვრით მათ საფუძველი დაუდეს წარმოების ფაქტორთა თანაფარდობას და ურთიერკავშირს. მათი აზრით ღია ეკონომიკაში ქვეყანა ცდილობს დასპეციალიზდეს იმ საქონლის გამოშვებაზე, რომლის უზრუნველსაყოფადაც გააჩნია ჭარბი ფაქტორები. „საერთაშორისო გაცვლა - ჭარბი ფაქტორების გაცვლაა დეფიციტურზე: ქვეყანა ახდენს იმ საქონლის ექსპორტირებას, რომელთა წარმოება საჭიროებს ფაქტორთა მეტ რაოდენობას, რომელიც მას ჭარბად აქვს.

ძირითადი ნაწილი

ა. სმიტისა და დ. რიკარდოსგან განსხვავებით, ბ. ოლინი აანალიზებს კონკრეტულ საგარეო ეკონომიკურ სიტუაცია არა ორი ქვეყნის, არამედ ორი რეგიონის პირობებში და ასაბუთებს დასკვნას იმის შესახებ, რომ სხვადასხვა რეგიონებს წარმოების სხვადასხვა ფაქტორებით შეუძლიათ დასპეციალიზდნენ საქონლის გამოშვებასა და ექსპორტზე, რომელიც მათ უფრო იაფი უჯდებათ ფულად გამოხატულებაში და არ არის აუცილებელი შრომის ერთეულის მიხედვით სიიფე. ეს გარემოება ხელს უწყობს საგარეო ეკონომიკური კავშირების არსის გაგების გაფართოებას.

თითქმის XX საუკუნის 60-იან წლებამდე ჰეკშენ-ოლინის მოდელი დომინირებდა საგარეო ვაჭრობის თეორიის პრობლემების შესახებ გამოქვეყნებულ ეკონომიკურ ლიტერატურაში. შემდგომში იგი კვლავ განვითარდა და დაზუსტდა. მის სრულყოფაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამერიკელმა ეკონომისტმა პ. სამუელსონმა, რომელმაც განავითარა დებულება იმის შესახებ, რომ თავისუფალ ვაჭრობებს შეუძლია წარმოების ფაქტორების სრული - შეფარდებითი და აბსოლუტური ნიველირება. თავისუფალი ვაჭრობა განიხილება როგორც სრული და არა უბრალოდ ნაწილობრივი შემცველი კაპიტალის გადაადინებისა, რომელსაც შეუძლია დააბალანსოს ფასები წარმოების ფაქტორებზე.

პ. სამუელსონის მიერ ჰეკშენ-ოლინის თეორიის შემდგომა განვითარებამ ლოგიკური დასასრული

მიიღო ჰექშენ-ოლინ-სამშელოსონის (ჰ-ო-ს) თეორემაში, რომელშიც დასაბუთებულია იდეა წარმოების ფაქტორებზე ფასების გამოთანაბრების შესახებ.

ჰ-ო-ს-ის თეორემა ვარაუდობს რიგ დაშვებებს, რომლებიც ცხოვრებაში არ შეინიშნება, საეჭვოა, რომ საერთაშორისო ვაჭრობას შეუძლია ფაქტობრივად უზრუნველყოს ფასების სრული გამოთანაბრება წარმოების ფაქტორებზე. მიუხედავად ამ თეორიის ყველა ნაკლოვანებებისა, იგი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია საერთაშორისო ვაჭრობის და კერძოდ, საერთო წონასწორობის პრინციპის ანალიზის დროს და ითვლება ეკონომიკური სისტემების განვითარების პირობად.

საერთაშორისო ვაჭრობის თეორიის განვითარება უარყოფს კლასიკურ თეორიას და ვითარდება შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

1. კლასიკური თეორიის პრინციპების გამდიდრება და სრულყოფა მათი განვრცობის გზით, წარმატების მეტი რაოდენობით ობიექტებსა და ფაქტორებზე;

2. საერთაშორისო ვაჭრობის ახალი პრობლემების დამუშავება კლასიკური პოზიციიდან, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზის გამო არ იყო გადანყვებილი კლასიკოსების მიერ.

3. ალტერნატიული (კლასიკოსებისაგან განსხვავებული) კვლევები, რომლებიც უარყოფენ კლასიკური თეორიებს, რადგან ამ უკანსკლთა ბაზაზე შეუძლებლად მიაჩნიათ თანამედროვე საერთაშორისო ვაჭრობის პროცესების ახსნა. ახალი თეორიების ცალკეული პრობლემების პრინციპულად ახალი დამუშავება.

პირველი მიმართულების თეორიათა შორის თვალსაჩინო ადგილს იკავებს წარმოების სპეციფიკური ფაქტორების კონცეფცია.

წარმოების სპეციფიკური ფაქტორების თეორიის თანახმად საერთაშორისო ვაჭრობის საფუძვლად უდევს საქონელთა განსხვავებული შეფარდებითი ფასები, რომლებიც წარმოიშობა წარმოების სპეციფიკური ფაქტორებით ქვეყნების არაერთგვაროვანი უზრუნველყოფის გამო. ამასთან ფაქტორები, რომლებიც სპეციფიკურია საექსპორტო დარგებისთვის ვითარდება, ფაქტორები კი რომლებიც სპეციფიკურია იმ დარგებისთვის რომელთაც კონკურენციას უწევს იმპორტი, მცირდება.

წარმოების ფაქტორთა თანაფარდობის თეორიის მიხედვით, საქონელი რომლის წარმოება მოითხოვს ჭარბი წარმოების ფაქტორებს, გაიცვლება იმ საქონელში, რომლის დასამზადებლად სხვა ქვეყანაში საჭიროა დეფიციტური, ანუ შედარებით ძვირი ფაქტორები. ეს თეორია ეფუძნება დ. რიკარდოს „შეფარდებითი დანახარჯების კანონს“, გამდიდრებულია მილის ორმხრივი მოთხოვნის კონცეფციით და აკავშირებს საგარეო ვაჭრობას ქვეყნის ეკონომიკურ სტრუქტურასთან. მაგრამ

ჰექშენ – ოლინის თეორიით შემოთავაზებულ სქემაში ყველა მოვლენა ვერ თავსდება. ევროპის ზოგიერთი ქვეყნის ონკურენციული პოზიციების ცვლილება, რაც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ შეინიშნებოდა, არ ემთხვევა წარმოების ფაქტორებით უზრუნველყოფაში მომხდარი ძვრების შესახებ არსებულ მონაცემებს. სტატისტიკა მოწმობს, რომ განვითარებული სამრეწველო ქვეყნების საწარმოო რესურსებით უზრუნველყოფის სტრუქტურა თანდათანობით თანაბრდება. ეს ნიშნავს, რომ ჰექშენ-ოლინის თეორია, რომელიც წარმოების ფაქტორების შეფარდებით უზრუნველყოფაში ქვეყნებს შორის არსებულ განსხვავებების გათვალისწინებაზეა დაფუძნებული, თანდათან ძველდება. გარდა ამისა, საგარეო ვაჭრობაში სიმძიმის ცენტრი ნელ-ნელა ინაცვლებს „მსგავსი“ საქონლით ვაჭრობისკენ და არა იმ პროდუქციით ვაჭრობისკენ, რომელიც მრეწველობის სრულიად განსხვავებულ სექტორებს განეკუთვნება. [2;91]

XX საუკუნის 40-იან წლებში საერთაშორისო საქონელგაცვლის თეორიამ მნიშვნელოვანი კორექტივები განიცადა. ამერიკელმა ეკონომისტმა ვ. ლეონტიევმა, ჰექშენ-ოლინის თეორიის გამოყენებით გამოიკვლია აშშ-ის ექსპორტისა და იმპორტის სტრუქტურა და მრავალი ექსპერტის გასაოცრად სრულიად საპირისპირო სურათი გამოავლინა. კერძოდ, მან დაასაბუთა, რომ ომის შემდგომ პერიოდში ამერიკის ეკონომიკა წარმოების იმ სახეებში დასპეციალდა, რომელიც კაპიტალთან შედარებით მეტ შრომას მოითხოვდა. სხვა სიტყვებით, ამერიკის ექსპორტი იმპორტთან შედარებით უფრო შრომატევადი და ნაკლებკაპიტალტევადი გახდა. [1;59]

ვ. ლეონტივის სიახლე ომის შემდგომი პერიოდის ეკონომიკაში ფართო რეზონანსი გამოიწვია, რომელსაც შეფარდებითი უპირატესობის თეორიის მნიშვნელოვანი განვითარება მოჰყვა და მან ტექნიკური პროგრესის ართანაბარი განაწილების და ქვეყნებს შორის განსხვავებული ანაზღაურების საკითხები მოიცვა.

მიუხედავად იმისა, რომ წარმოების ფაქტორთა თანაფარდობის ნეოკლასიკური თეორია საერთაშორისო ვაჭრობის ყველაზე გავრცელებული თეორიაა, იგი მრავალჯერ დაექვემდებარე შემოწმებას სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე. ყველაზე მეტად ცნობილი გახდა ამერიკელი (რუსი წარმოშობის) მეცნიერის ვ. ლეონტიევის გამოკვლევა, რომელმაც მიიღო „ვ. ლეონტიევის პარადოქსის“ სახელწოდება. მნიშვნელოვანი სტატისტიკური მასალების ანალიზმა უჩვენა, რომ მიუხედავად ვ. ლეონტიევის და შემდგომი სხვა მეცნიერების არაერთგვარადი სტატისტიკური გაანგარიშებისა თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებით, რიგი წლების განმავლობაში ბევრი ქვეყნებისათვის და საქონლისათვის მათი შედეგები მწვავე დისკუ-

სიების საგანი და ხასიათდებობა არაერთგვაროვნე-
ბით.[10;19]

ჰ-ო-ს კონცეფციის არასრულყოფილების კრი-
ტიკულმა განხილვამ ეკონომიკურ ლიტერატურაში
ასევე „ლეონტიევის პარადოქსის“ პრობლემების
ირგვლივ მსჯელობამ საკმაო ცოდნა დაამატა საე-
რთაშორისო ვაჭრობის ზოგად თეორიას. თვით „ლე-
ონტიევის პარადოქსის“ ფაქტი სასარგებლო გაკვე-
თილად რჩება, რომელიც ჰ-ო-ს დოქტრინის პირდა-
პირ გამოყენებაზე დაგვაფიქრებს.[7;82]

საერთაშორისო ვაჭრობის რიგი ალტერნატი-
ული თეორიები გამომდინარეობს წარმოების მას-
შტაბის მზარდი ეფექტის კონცეფციიდან, რომლის
ავტორები არიან მ. კემპბელი და პ. კრუგმანი. ეს
კონცეფცია ანალიზის ობიექტად იღებს ისეთ სი-
ტუაციას, როცა ვაჭრობა ქვეყნებს შორის რომლე-
ბიც ძალიან ახლოს არიან წარმოების ფაქტორებით
უზრუნველყოფის დონით განაპირობებს მათ სპე-
ციალიზაციას განსაზღვრულ საქონელზე არა მათი
შეფარდებითი უპირატესობის მიხედვით, არამედ
წარმოების მასშტაბზე ეკონომიის მიხედვით.

მასშტაბზე ეფექტი იმაში მდგომარეობს, რომ
ფაქტორთა დანახარჯების ზრდა განსაზღვრული
სიდიდით განაპირობებს წარმოებით ზრდას დიდი
სიდიდით. მასშტაბის ეფექტს აქვს ორი ასპექტი:
გარე და შიგა. გარე ასპექტის თანახმად იზრდება
ფირმების რაოდენობა, რომლებიც უშვებენ ერთი
და იგივე საქონელს, მაშინ როცა თითოეული მა-
თგანი არ იცვლება, რაც ქმნის სრულყოფილ კონცე-
ციას. მასშტაბის შიდა ეფექტი იმაში მდგომარეობს,
რომ წარმოიშვება არასრულყოფილი კონკურენსია,
რომლის დროსაც მწარმოებლებს აქვთ შესაძლე-
ბა იმოქმედონ თავიანი საქონლის ფასზე და მი-
აღწიონ გაყიდვების მოცულობის ზრდას ფასების
შემცირების გზით.[3;74]

მაშასადამე საერთაშორისო ვაჭრობის შედეგად
წარმოიშვება მასშტაბის ეფექტი, რომელიც იწვევს
ეკონომიას და საერთაშორისო ვაჭრობის პირობე-
ბის გაუმჯობესებას, საერთაშორისო ვაჭრობის ანა-
ლიზში წარმოების მასშტაბის მზარდი ეფექტის გა-
მოყენება მნიშვნელოვნად აახლოებს მას რეალურ
ეკონომიკურ პროცესებთან კლასიკური და ნეოკ-
ლასიკურ კონცეფციებთან შედარებით.

ეროვნული ეკონომიკის საგარეო სავაჭრო კავში-
რების სტრატეგია უნდა ითვალისწინებდეს, საქონ-
ლის სასიცოცხლო ციკლს, კონცეფციის ავტორი
რ. ვერნონი მიიჩნევს, ურთიერკავშირს ტიპური
ახალი საქონლის სიცოცხლის ციკლის ეტაპებსა და
საერთაშორისო ვაჭრობას შორის.

საერთაშორისო ვაჭრობის ალტერნატიული
კვლევების მიმართულებას განეკუთვნება ცნო-
ბილი ამერიკელი ეკონომისტის მ. პორტერის ქვეყ-
ნის კონკურენტული უპირატესობის თეორია, რომე-
ლიც საერთაშორისო გაცვლის ზოგად საკითხებს-ე-

რონული ეკონომიკების ინტერესების და ფირმების
ინტერესების ურთიერთქმედებას თანამედროვე სა-
ერთაშორისო ვაჭრობის პროცესში იკვლევს ახალი
პოზიციიდან. მ. პორტერის თეორია უკავშირდება
კონკრეტული ქვეყნის ცალკეული ფირმების მიერ
კონკრეტული დარგების განსაზღვრული საქონლის
საერთაშორისო ვაჭრობაში უპირატესობის მოპო-
ვებას. მ. პორტერმა შეიმუშავა ერთის საერთაშო-
რისო კონკურენტუნარიანობის ორიგინალური კონ-
ცეფცია.[12;46]

ანალიზი გვიჩვენებს, რომ საერთაშორისო ვაჭ-
რობის კლასიკური თეორია და მისი თანამედროვე
ინტერპრეტაციაბი ძირითადად ხსნიან საგარეო
ვაჭრობის არსს, მონაწილეთა ეკონომიკურ სარგე-
ბელს ქვეყანათა შორის წარმოების ფაქტორთა
უზრუნველყოფაში განსხვავების საფუძველზე,
რაც მეტია ეს განსხვავება, მით მეტია სხვა თანა-
ბარ პირობებში შესაძლებლობების ვაჭრობისათვის
და მისგან მიღებული მხარეთა სარგებელი. მაგრამ
პრაქტიკაში განსაკუთრებით თანამედროვე პი-
რობებში საერთაშორისო გაცვლის ჭარბი ნაწილი
მოდის მრეწველობით განვითარებულ ქვეყნებზე,
რომელთა ურთიერვაჭრობის წილი ასევე მაღალია.
ისინი ხასიათდებიან მსგავსი ბუნებრივი პირობე-
ბით - ამიტომ არსებითად იზრდება შეძენილი უპი-
რატესობების როლი, რომელიც უწინარეს ყოვლისა
უკავშირდება ახალი ტექნოლოგიების წინმსწრებ
დამუშავებას და დანერგვას.

დასკვნა

- კლასიკური თეორიები, მიუხედავად ლოგი-
კური სისადავისა, ვერ ასახავს თანამედროვე ეკონო-
მიკური პროცესების სირთულეს, სადაც გადამწყვეტი
ხდება ტექნოლოგიური უპირატესობები, ინოვაცი-
ური პოტენციალი და მასშტაბური წარმოება;

- ლეონტიევის პარადოქსი აჩვენებს, რომ თე-
ორია-პრაქტიკას შორის არსებობენ ხოლმე ღრმა
დისონანსები, რაც თეორიული მოდელების მუდმივ
გადახედვას საჭიროებს;

- თანამედროვე მიდგომები ცდილობენ საე-
რთაშორისო ვაჭრობის დინამიკის ახსნას არა მხო-
ლოდ რესურსების მახასიათებლებით, არამედ იმ
კონკურენტული სტრატეგიებით, რომლებიც გან-
საზღვრავენ ფირმების პოზიციას გლობალურ ბა-
ზრებზე;

- გლობალიზაცია, ტექნოლოგიური პროგ-
რესი და გეოეკონომიკური გარდაქმნები ქმნიან
ახალ რეალობას, სადაც საერთაშორისო ვაჭრობის
თეორიის განვითარება არამარტო ეკონომიკური,
არამედ პოლიტიკურ-სტრატეგიული გამონევენების
გათვალისწინებასაც მოითხოვს.

სტატია განიხილავს, რომ საერთაშორისო ვაჭ-
რობის თეორია უნდა აერთიანებდეს კლასიკური მი-
დგომების ლოგიკას და თანამედროვეობის მოთხო-

ვნებს, რათა შესაძლებელი გახდეს საერთაშორისო ეკონომიკური პოლიტიკის უკეთ გააზრება, დაგეგმვა და განხორციელება.

საერთაშორისო ვაჭრობის თეორია და მისი თანამედროვე მიდგომები განიცდიან მნიშვნელოვან ცვლილებებს, რომლებიც დაკავშირებულია გლობალიზაციის, ტექნოლოგიური პროგრესისა და ეკონომიკური გარდაქმნების შედეგად ჩამოყალიბებულ ახალ რეალობასთან. კლასიკური თეორიები, როგორიცაა დ. რიკარდოს შედარებითი უპირატესობის თეორია და ჰექშერ-ოჰლინის მოდელი, გთავაზობენ ვაჭრობის მიზეზების და ეფექტების ანალიზს, თუმცა ისინი არ სრულად ასახავენ თანამედროვე ეკონომიკური პროცესების სირთულეს, რომლებიც უფრო მეტ ყურადღებას საჭიროებს ტექნოლოგიურ, ინოვაციურ და კონკურენტულ ასპექტებზე.

მონაცემთა ანალიზი და ლიტერატურის განხილვა გვიჩვენებს, რომ თანამედროვე თეორიები, როგორიცაა კრუგმანის მასშტაბის ეფექტი და პორტერის კონკურენტული უპირატესობა, წარმატებით ცდილობენ ახალი დინამიკის ახსნას, როდესაც ფირმების პოზიციები გლობალურ ბაზრებზე აღარ ეფუძნება მხოლოდ რესურსების განაწილებას, არამედ მათ სტრატეგიულ გადაწყვეტებსა და ინოვაციურ უნარებს.

ეს კვლევა აჩვენებს, რომ საერთაშორისო ვაჭრობის თეორიის განვითარება მოითხოვს არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ პოლიტიკურ-სტრატეგიული გამოწვევების გათვალისწინებას, რაც აუცილებელია თანამედროვე გლობალურ ეკონომიკაში. შესაბამისად, თეორიები უნდა ეხმარებოდეს ახალ მოთხოვნებს, რადგან გლობალური ბაზრების რეალობა მუდმივად ცვალებადია და მოითხოვს თეორიული მოდელების შერწყმას კლასიკური მიდგომების ლოგიკასთან.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. Ricard, D. (1817). *On the Principles of Political Economy and Taxation*. John Murray.
2. Heckscher, E., & Ohlin, B. (1933). *Interregional and International Trade*. Harvard University Press.
3. Krugman, P. (1991). *Geography and Trade*. MIT Press.
4. Porter, M. E. (1990). *The Competitive Advantage of Nations*. Free Press.
5. Helpman, E. (1984). *A Simple Theory of International Trade with Imperfect Competition*. *Journal of Political Economy*, 92(3), 453-473.
6. Markusen, J. R., & Venables, A. J. (1998). *Multinational Firms and the New Trade Theory*. *Journal of International Economics*, 46(2), 183-203.
7. Baldwin, R. (2006). *Multinationals and the Globalization of Trade*. In *The Great Trade Collapse: Causes, Consequences, and Prospects* (pp. 299-313). Centre for Economic Policy Research.
8. Feenstra, R. C. (2004). *Advanced International Trade: Theory and Evidence*. Princeton University Press.
9. Krugman, P., & Obstfeld, M. (2009). *International Economics: Theory and Policy* (8th ed.). Pearson Education.
10. Ghemawat, P. (2001). *Distance Still Matters: The Hard Reality of Global Expansion*. *Harvard Business Review*, 79(8), 137-147.
11. Deardorff, A. V. (2001). *Fragmentation in Simple Trade Models*. In *The Regionalization of the World Economy* (pp. 159-180). University of Chicago Press.
12. Treffer, D. (1993). *International Factor Price Differences: Leontief Was Right!*. *Journal of Political Economy*, 101(6), 961-987.